

**საქართველოს კანონი**  
**“საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში”**  
**ცვლილებების შეტანის შესახებ”**

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, N47-48, 31.12.1997, გვ.21) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 365-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“მუხლი 365. სააპელაციო საჩივარი, რომლის ღირებულებაც აღემატება 500 ლარს

1. სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 500 ლარს. აპელაციის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს (მესამე პირს). თუ ღირებულების მოცულობა ეჭვს იწვევს, სააპელაციო საჩივრის შემგანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემლუღვა სააპელაციო საჩივრის ღირებულებასთან დაკავშირებით არ ვრცელდება “სიგყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონის დაცულ სიკეთეებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებზე.”

2. 391-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“2. საკასაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1 000 ლარს აღემატება. აღნიშნული შემლუღვა არ ვრცელდება “სიგყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ” საქართველოს კანონის დაცულ სიკეთეებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებზე.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი